სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/22 24.04. 2019 წ. 350

არჩევითი სასწავლო კურსების, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა დარეგისტრირებისა და შესაბამისი სასწავლო კურსების დაკომპლექტების შესახებ

არჩევითი სასწავლო კურსების, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა დარეგისტრირებისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს არჩევით სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელ. დეკანატში) სტუდენტთა რეგისტრაციის შემდეგი ვადები ყოველი მომდევნო სასწავლო სემესტრისათვის:

1.1. ბაკალავრიატის საფეხურის II-IV-VI სემესტრის სტუდენტებმა III-V-VII სემესტრის არჩევით სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე რეგისტრაცია უნდა განხორციელონ საგაზაფხულო სემესტრის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე და რეგისტრაცია დაასრულონ ფინალური გამოცდების დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობა;

1.2. ბაკალავრიატის საფეხურის I–III-V-VII სემესტრის სტუდენტებმა II-IV-VI-VIII სემესტრის არჩევით სასწავლო კურსზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე რეგისტრაცია უნდა განახორციელონ საშემოდგომო სემესტრის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე და რეგისტრაცია დაასრულონ ფინალური გამოცდების დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობა;

1.3. ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში I - სემესტრში, რეგისტრაცია განხორციელდეს უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში.

1.4. პედაგოგიური ფაკულტეტის ინტეგრირებულ პროგრამის სტუდენტები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან II სემესტრში, III სემესტრის აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე რეგისტრაციას ახორციელებენ და ასრულებენ ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;

1.5. პედაგოგიური ფაკულტეტის ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან I-III სემესტრში, II-IV სემესტრის არჩევით სასწავლო კურსზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე

რეგისტრაციას ახორციელებენ და ასრულებენ ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;
1.6. პედაგოგიური ფაკულტეტის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების I სემესტრის სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში I - სემესტრში, რეგისტრაცია განხორციელდეს და დასრულდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;

2. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა (ასოც. პროფ. ი. ფხასკაძე) უზრუნველყოს არჩევით სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა რეგისტრაცია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

2.1. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების II-IV-VI-VIII-VIII-X სემესტრის სტუდენტებმა III-V-VII-IX-IX-XI სემესტრის არჩევით სასწავლო კურსზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე რეგისტრაცია უნდა განახორციელონ და რეგისტრაცია დაასრულონ ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;
2.2. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების I-III-V-VII-IX-XI სტუდენტებმაII-IV-VI-VIII-X-XII სემესტრის არჩევით სასწავლო კურსზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე რეგისტრაცია უნდა განახორციელორეგისტრაცია დაასრულონ ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;
2.3. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების I სემესტრის სტუდენტებისათვის რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში I - სემესტრში, რეგისტრაცია განხორციელდეს და დასრულდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;

3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (ელ. დეკანატის) ადმინისტრატორმა (ასოც. პროფ. დ. ლეკვეიშვილი):
3.1. უზრუნველყოს პირველი მუხლის ქვეპუნქტებით დადგენილ ვადებში არჩევით სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა სარეგისტრაციო გვერდის გახსნა, დარეგისტრირებულ სტუდენტთა მონაცემების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელ. დეკანატში) ასახვა და სარეგისტრაციო გვერდის დახურვა.
3.2. უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის მიერ წლიურად არაუმეტეს 75 კრედიტის ათვისების მოთხოვნის დაცვა.
4. ფაკულტეტების დეკანებმა:
4.1.პრაქტიკულად შეუწყონ ხელი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელ. დეკანატში) სტუდენტთა რეგისტრაციას;
4.2.უზრუნველყონ თითოეული სტუდენტის მიერ წლიურად არაუმეტეს 75 კრედიტის ათვისების მოთხოვნის დაცვა.
5. დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა, პროგრამის ხელმძღვანელებთან და კურატორებთან ერთად უზრუნველყონ:
5.1.სტუდენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე 2 კვირით ადრე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელ. დეკანატში) კონკრეტული სემესტრის მიხედვით არჩევითი სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების სასწავლო კურსების ჩამონათვალის მიწოდება;
5.2. პრაქტიკულად შეუწყონ ხელი სტუდენტების ინფორმირებას ზემოთაღნიშნულ საკითხებზე და მათ მიერ რეგისტრაციის ვადების დაცვა;

5.3. დამტკიცებული ვადების ამოწურვისთანავე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემის (ელ. დეკანატის) ინფორმაციის საფუძველზე სიები სასწავლო კურსების მიხედვით წარუდგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6. უნივერსიტეტში დადგენილი აკადემიური ჯგუფის ნორმატივის მოთხოვნის ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში დარეგისტრირებულ სტუდენტს მიეცეს ამ ბრძანების პირველი მუხლით დადგენილი ვადიდან ერთი კვირის განმავლობაში ხელახალი რეგისტრაციის უფლება;

7. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (პროფ. ი. ბასილაძე):

7.1. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (ელ. დეკანატის) მონაცემების გათვალისწინებით დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არჩევით სასწავლო კურსებზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა განაწილებისას გაითვალისწინოს უნივერსიტეტში აკადემიური ჯგუფის ფორმირების დადგენილი ნორმატივები.

7.2. მოამზადოს არჩევით სასწავლო კურსზე, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა დაკოპლექტების შესაბამისი ბრძანების პროექტი და წარუდგინოს რექტორს დასამტკიცებლად.

7.3. რექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების მონაცემები აისახოს არჩევითი, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი სასწავლო კურსების სტატისტიკისა და სასწავლო ინდივიდუალური დატვირთვების კომპიუტერულ ბაზაში.

8. გამონაკლის შემთხვევებში არჩევითი, თავისუფალი და აკედემიურ დავალიანებაში ასათვისებელი კრედიტების ჯგუფების დაკომპლექტების საკითხი შეთანხმდეს უნივერსიტეტის რექტორთან.

9. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) ბრძანება ვებ-გვერდზე განსათავსებლად გადასცეს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი).

10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილებები №8.

ფინანსთა სამინისტრო • MINISTRY OF FINANCE • 212693049 • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი • AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY • GEORGIA

რექტორი — პროფესორი როლანდ კოპალიანი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი — ასოც. პროფ. თეა კორძაძე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერ ბასილაძე